19

სპორტული სეზონის
მთავარი გამოცდა —
სსრ კავშირის ხალხთა
VII სპარტაკიადა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 23
(6334)

1979 წ.
1 თებერვალი
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

სად, რა, როდის?

მოახლოვდა საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის ზონალური და ფინალური შეჯიბრებები. ზონალური ტურნირები მარტში დაიწყება და მაისის ბოლომდე გაგრძელდება, ხოლო ფინალური ტურნირი, რომელიც სტარტს აიღებს 3 მაისს, 30 ივნისამდე გასტანს.

გთავაზობთ ამ შეჯიბრებათა კალენდარს.

დასავლეთის ზონა

ქართული ჭიდაობა	20-23 მარტი	**ორჯონიკიძე**
კლასიკური ჭიდაობა	5-8 აპრილი	**მახარაძე**
სამბო	5-9 აპრილი	**ცხაკაია**
ფრენბურთი (ვაჟები)	10-15 აპრილი	**სამტრედია**
ფრენბურთი (ქალები)	16-21 აპრილი	**ცაგერი**
თავისუფალი ჭიდაობა	12-16 აპრილი	**ორჯონიკიძე**
კალათბურთი (ქალები)	14-19 აპრილი	**გეგეჭკორი**
კალათბურთი (ვაჟები)	20-25 აპრილი	**წულუკიძე**
ლელო	14-20 აპრილი	**ქობულეთი**
ძიუდო	17-21 აპრილი	**ორჯონიკიძე**
საგზატკეცილო ველორბოლა	20-22 აპრილი	**ზესტაფონი**
მძლეოსნობა	27-29 აპრილი	**ჭიათურა**
მშვ მრავალჭიდი	27-30 მაისი	**ტყიბული**
ფეხბურთი	სპეციალური კალენდარით	

აღმოსავლეთის ზონა

ქართული ჭიდაობა	9-12 მარტი	**ახმეტა**
ფრენბურთი (ვაჟები)	27 მარტი-1 აპრილი	**თელავი**
ფრენბურთი (ქალები)	2-7 აპრილი	**თელავი**
ძიუდო	1-4 აპრილი	**ლაგოდეხი**
ლელო	1-7 აპრილი	**გურჯაანი**
კალათბურთი (ქალები)	31 მარტი-5 აპრილი	**ახმეტა**
კალათბურთი (ვაჟები)	6-11 აპრილი	**გურჯაანი**
თავისუფალი ჭიდაობა	6-10 აპრილი	**სიღნაღი**
კლასიკური ჭიდაობა	11-14 აპრილი	**თელავი**
სამბო	13-23 აპრილი	**ყვარელი**
მძლეოსნობა	25-29 აპრილი	**რუსთავი**
საგზატკეცილო ველორბოლა	27-29 აპრილი	**გორი**
ფეხბურთი	სპეციალური კალენდარით	
მშვ მრავალჭიდი	24-27 მაისი	**გურჯაანი**

საქართველოს სსრ სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები

ფრენბურთი (ქალები)	3-8 მაისი	**სოხუმი**
ფრენბურთი (ვაჟები)	11-18 მაისი	**სოხუმი**
ჭადრაკი	3-12 მაისი	**თბილისი**
ცხენოსნობა	8-15 მაისი	**ფოთი**
აფროსნობა	9-16 მაისი	**ფოთი**
კალათბურთი (ქალები)	10-16 მაისი	**ჭიათურა**
კალათბურთი (ვაჟები)	17-26 მაისი	**ჭიათურა**
ჩოგბურთი	10-16 მაისი	**თბილისი**
თავისუფალი ჭიდაობა	12-16 მაისი	**ქუთაისი**
ძიუდო	12-16 მაისი	**გორი**
მძლეოსნობა	17-20 მაისი	**თბილისი**
ხელბურთი (ვაჟები)	11-18 მაისი	**ბათუმი**
ხელბურთი (ქალები)	19-26 მაისი	**ბათუმი**
თანამედროვე ხუთჭიდი	17-21 მაისი	**თბილისი**
სამბო	17-21 მაისი	**ქუთაისი**
წყალში ხტომა	22-27 მაისი	**თბილისი**
ძალოსნობა	22-24 მაისი	**ცხინვალი**
ფეხბურთი	სპეციალური კალენდარით	
კრივი	24-27 მაისი	**ქუთაისი**
კლასიკური ჭიდაობა	24-27 მაისი	**სოხუმი**
წყალბურთი	24-28 მაისი	**თბილისი**
ლელო	28 მაისი-3 ივნისი	**გორი**
ტყვიის სროლა	28 მაისი-4 ივნისი	**სოხუმი**
ბალახის ჰოკეი	28 მაისი 2-ივნისი	**ბათუმი**
ტანვარჯიში	29 მაისი-3 ივნისი	**თბილისი**
მშვილდოსნობა	1-6 ივნისი	**ბათუმი**
სასტენდო სროლა	3-7 ივნისი	**ბათუმი**
ცურვა	6-11 ივნისი	**თბილისი**
საგზატკეცილო ველორბოლა	7-10 ივნისი	**ქუთაისი**
აკადემიური ნიჩბოსნობა	8-10 ივნისი	**ფოთი**
მხატვრული ტანვარჯიში	8-12 ივნისი	**ბათუმი**
ფარიკაობა	3-9 ივნისი	**ქუთაისი**
ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა	13-15 ივნისი	**გალი**
ქართული ჭიდაობა	13-16 ივნისი	**მცხეთა**
ტრეკზე რბოლა	15-17 ივნისი	**თბილისი**
ეროვნული სახეობები	15-20 ივნისი	**ოჩამჩირე**
მშვ მრავალჭიდი	27-30 ივნისი	**ჭიათურა**

სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის I ტურის წინ



რას გვპირდება ახალგაზრდობა?

შაბათს თბილისში, ვაკის საცურაო აუზში სტარტს აიღებს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში გამოვლენ მოსკოვის, კიევის, ალმა-ათის, ლვოვისა და თბილისის დინამოელები, აგრეთვე ხარკოვის „ლოკომოტივი" და ლენინგრადის „ბალტიკა". ეს უკანასკნელი შარშან კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. 7 გუნდი გამოვა მოსკოვის ტურშიც. იქ სხვებთან ერთად იასპარეზებს უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის გუნდიც.

— გასულ წლებთან შედარებით უმაღლესი ლიგა ორი გუნდით გაიზარდა, — გვეუბნება საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი წყალბურთში მ. ქართველიშვილი. — ეს იმან განაპირობა, რომ ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა მესვეურებმა გადაწყვიტეს ამ გზითაც შეუწყონ ხელი სპორტის ამ სახეობის „გეოგრაფიის" გაფართოებას. წლეულს კიდევ ერთი სიახლეა — ყოველ პერიოდს ოთხის ნაცვლად ხუთ წუთს ითამაშებენ წყალბურთელები. ასეთი გადაწყვეტილება იმითაცაა გამოწვეული, რომ ოლიმპიურ თამაშებში სწორედ ხუთწუთიანი პერიოდები იქნება. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის თბილისის ტურს, იგი საინტერესო ბრძოლებს გვპირდება. ვფიქრობ, თბილისელი მაყურებელი დიდი ინტერესით ელის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — მოსკოვის „დინამოს" გამოსვლას, აგრეთვე კიევისა და ალმა-ათის დინამოელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატისა და სპარტაკიადების პრიზიორები იყვნენ. ბუნებრივია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თბილისელთა გამოსვლაა. მათ შარშან ერთობ უფერულად ჩაატარეს ჩემპიონატი და IX ადგილი დაიკავეს. ასე ცუდად თბილისის „დინამოს" ჯერ არ უასპარეზია. წლევანდელმა ჩემპიონატმა პასუხი უნდა გაგვცეს, თუ როგორ მოემზადნენ ჩვენი წყალბურთელები ამ შეჯიბრებისთვის და, საერთოდ რისი იმედი უნდა გვქონდეს სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე.

თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა ღირსებას დაიცავენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები — ნოდარ კურტანიძე, ვლადიმერ ისელიძე, სპორტის ოსტატები მიხეილ გიორგაძე, გელა ტუკვაძე, გიორგი ხუმბულიძე, დავით რურუა, ვალერი არუთინოვი, გიორგი კოლუაშვილი და გიორგი დოლიძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები — ზურაბ ქოიავა, ზურაბ ხეცურიანი, თამაზ კუტივაძე და დევი გვახარია.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვასილ სანაძის აღსაზრდელთა გუნდი უმაღლესი ლიგის ბინადართა შორის ყველაზე ახალგაზრდულია. საშუალო ასაკი 21 წელია. იმედია, ისინი სწორედ ახალგაზრდული შემართებით, ენერგიითა და მონდომებით იბრძოლებენ.

შეჯიბრება 9 თებერვლამდე გასტანს. ასპარეზობები 18 საათზე დაიწყება, ხოლო კვირას — 12 საათზე.

ა. რაჭველიშვილი.

მასპინძელთა უპირატესობით

აშშ-ს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობის შემდეგ ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათას ეწვია, სადაც გამართა ამხანაგური შეხვედრა მასპინძელთა გუნდთან. ასპარეზობაში საბჭოთა ათლეტებმა გაიმარჯვეს — 8:2. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეორე ქვესაშუალო წონის ფალავანი, ყარაგანდელი მუსან აბდულ-მუსლიმოვი, რომელიც მეოთხედ შეხვდა ამერიკელ ჩაკ ეგლას და კვლავ წარმატებას მიაღწია.

ორი ქვეყნის სპორტსმენთა მორიგი შეხვედრა დღეს გაიმართება ფრუნზეში.

იოსელიანი ლიდერობას განაგრძობს

გოგონათა შორის ევროპის თასის გათამაშებაში, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ კულაში ტარდება, მონაწილენი განაგრძობენ ბრძოლას საერთო ტურნირში (შვეიცარიული სისტემით).

7 ტურის შემდეგ კვლავინდებურად ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისელი ოსტატი ნანა იოსელიანი — 6 ქულა. მან ბოლო ორ ტურში 1.5 ქულა მოაგროვა — მოუგო კოვაჩს და დაუზავდა ვიზეს. იოსელიანს ფეხდაფეხ მიჰყვებიან უნგრელი მ. კოვაჩი — 5 ქულა, რუმინელი ვ. ილიე და პოლონელი მ. ვიზე — 4,5-4,5.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

კიდევ ხუთი პრეტენდენტი

კიდევ ხუთმა მოჭადრაკემ მოიპოვა მსოფლიოს პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება. ესენია — შარშან 23-ე საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულნი ზ. რიბლი, დ. საქსი და ა. ადორიანი (ყველა — უნგრეთი), აგრეთვე ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) და ფ. გეორგიუ (რუმინეთი). მათ დაიკავეს პირველი ხუთი ადგილი ზონალურ ტურნირში, რომელიც ვარშავაში ჩატარდა ორ ეტაპად, თავიდან ორ ჯგუფად გაყოფილმა 20 მოჭადრაკემ გამოავლინეს ოთხ-ოთხი საუკეთესო, რომლებმაც შემდეგ ხუთი საზონათშორისო საგზურისთვის იბრძოლეს.

უკვე ცნობილია ოცდაათამდე დიდოსტატი და ოსტატი, რომლებიც მსოფლიოს პირველობის საზონათშორისო ეტაპში გავიდნენ. მათ შორის ხუთი საბჭოთა მოჭადრაკეა — ლ. პოლუგაევსკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი. კიდევ ორი მონაწილე ჩვენი ქვეყნიდან გაირკვევა გ. კუზმინს, ვ. ცეშკოვსკის და ო. რომანიშინს შორის ამჟამად ტალინში მიმდინარე დამატებით მატჩ-ტურნირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ 16-სართულიან სახლებში კომფორტაბელური ბინები ელოდება მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს. ოლიმპიადის დღეებში ოლიმპიურ სოფელში 120 ქვეყნის 12 ათასი კაცი იცხოვრებს. საცხოვრებელი სახლების გარდა აქ შენდება კულტურის ცენტრი და სპორტული კომპლექსი.

სურათებზე: ოლიმპიური სოფლის პანორამა; ასე გამოიყურება სპორტსმენთა ოთახი.

საკდესის ფოტო.

დედაქალაქის სტუმრები

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რობერტ კანემ და გენერალურმა მდივანმა დან მელერმა ამასწინათ მოსკოვში თავიანთი სტუმრობის დასასრულს მოაწყეს პრეს-კონფერენცია, სადაც განაცხადეს, რომ 1980 წლის ოლიმპიადის დედაქალაქმა მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სტუმრებმა შეაქეს ოლიმპიური ნაგებობები დედაქალაქში, ლენინგრადსა და ტალინში, განსაკუთრებით კი სპორტსმენთა მისაღები სასტუმროები და კულტურული გართობისა და დასვენების ობიექტები. საბჭოთა სპორტის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მათ თქვეს: „ჩვენ ყველა შეკითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღეთ".

ეს ცოტა არ იყოს სხვანაირ ტონზე რეკავს მათთვის, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ანტიმოსკოვურ კამპანიას ეწეოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მესვეურები არ იღლებოდნენ თავიანთი პუბლიკაციებით, არარსებული სიძნელეებისა და გადასაჭრელი პრობლემების გამომგონებლობით.

„დერ აბენდი", 1977 წლის 28 ოქტომბერი. — „ამერიკის შეერთებული შტატები ბოიკოტს უცხადებს მოსკოვის ოლიმპიადას?".

„ველტი", 1977 წლის 14 ნოემბერი. — „მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადა ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე?".

„ცეიტი", 1977 წლის 18 ნოემბერი — „სახელმწიფოთა გარკვეულ ჯგუფს ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ... ამერიკელთა ქცევას გფრ-იც უნდა შეუერთდეს". აი, ეს სამი ციტატი, რომელთაც იმ დროს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამჟამად კი ყოველივე რეალისტურად გამოიყურება. იმ თვალსაზრისმა, რომ ჩვენს დროში ხალხთა შორის ურთიერთობის მოგვარებისათვის მარტოოდენ პოლიტიკა არ კმარა და ოლიმპიურ თამაშებსაც ასეთივე დანიშნულება აქვს, — წარმატება მოიპოვა.

კანემ და მილერმა მოსკოვში აუწყეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზაფხულის თამაშებისათვის მოსკოვში 500-600-კაციან ნაკრებ გუნდს ჩამოიყვანენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ოლიმპიადაში მათი მონაწილეობა გააღრმავებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობებს.

ხოლო ისინი, ვინც სხვის ზურგს ამოფარებული კვლავ ანტიმოსკოვურ პროპაგანდას ეწევა, თავიანთ თავს თვითონვე უმზადებენ დისკვალიფიკაციას.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ლამბაშიძემ.

„ჩემი მთავარი სტარტი მოსკოვში იქნება"

ნიუ იორკი. უძლიერესმა ამერიკელმა სპრინტერმა ჯ. ედვარდსმა, ალბათ, თავისებური რეკორდი დაამყარა 1978 წლის საზაფხულო სეზონში 36 შეჯიბრებაში (15-ჯერ აშშ-ში და 21-ჯერ ევროპაში) იასპარეზა. ორივე სპრინტერულ დისტანციაზე მსოფლიოში საუკეთესო შედეგის (100 მ — 10,07 და 200 მ — 20,03) ჩვენებით ორმაგი გამარჯვებები მოიპოვა აშშ-ის სტუდენტთა ჩემპიონატსა და მძლეოსანთა ეროვნულ პირველობაში.

მართალია, მან 1977 წელს მოიგო უნივერსიადა და მსოფლიო თასი, მაგრამ მისი ნამდვილი ტალანტი გასულ ზაფხულს გამოჩნდა. ტრავმების გამო ედვარდსმა მთელი რიგი საერთაშორისო შეჯიბრებები გამოტოვა. ამავე მიზეზით იგი ვერ მოხვდა 1976 წლის ოლიმპიურ ნაკრებში.

როგორც სპორტსმენი ამბობს, ამჟამად მისი მთავარი მიზანია მოსკოვის ოლიმპიადაში ოქროს მედლის მოპოვება.

მოგვყავს ამერიკის გაზეთებსა და ჟურნალებში დაბეჭდილი, აშშ-ის ყველაზე სწრაფი მორბენლის ნათქვამი.

წინათ ამბობდით, რომ ვარჯიშისთვის გამოიყენებთ რიგით შეჯიბრებებს, არა?

— ახლაც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ ყოველი შეჯიბრების წინ განსაზღვრულ მიზანს ვისახავ.

— დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ხომ არ მიიღეთ სტუდენტთა ჩემპიონატის წინ, რომელშიც თქვენ ერთბაშად სამ სახეობაში (100 და 200 მ და ესტაფეტა) უნდა გეასპარეზათ?

— ისეთი რანგის შეჯიბრებებში, სადაც აუცილებელია სხვადასხვა სახეობაში გამოსვლა, თანაგუნდელების მხარდაჭერის იმედი მაქვს. უფრო გუნდის ინტერესებზე ვფიქრობ, ვიდრე საკუთარ წარმატებაზე. ეს კი მამშვიდებს.

— სტარტზე მუდამ მეტოქეები გისწრებენ. ხომ არ განერვიულებთ დისტანციის დასაწყისში ჩამორჩენა?

— რას იზამ! მე ყოველთვის სხვებზე ნელი სტარტი მქონდა, სამაგიეროდ ეს მეხმარება უფრო შემართებით დავფარო დისტანციის მეორე ნახევარი. როგორც წესი, სწორედ ფინიშის სწორზე ვიგებ შეჯიბრებათა უმრავლესობას.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობა?

— მოსკოვის ოლიმპიადა უდიდესი შეჯიბრება იქნება ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე.

(საკდესი).

იჩქარეთ, მწვანე ჯეჯილო!

ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!

თბილისში უნდა გაიხსნას ცენტრალური ბავშვთა სპორტული უნივერმაღი

1979 წელი ბავშვის წელიწადია. მრავალ საზრუნავს შორის მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწორად დაყენება, მათი ინვენტარით, ფორმით უზრუნველყოფა ერთ-ერთი მეტად სერიოზული საკითხია.

საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონელმა" ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე თავის ძირითად ამოცანად დაისახა სპორტსაქონელზე მოსახლეობის და, პირველ რიგში, ბავშვების მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

რესპუბლიკის მაღალი სპორტული დონე, ფიზკულტურული მოძრაობის მაქსიმალური ხასიათი, ახალგაზრდობისა და ბავშვების დიდი გატაცება ფიზკულტურითა და სპორტით, წინა პლანზე აყენებს მაღალი კლასის სავაჭრო ობიექტის შექმნის აუცილებლობას.

როგორც ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისს გამართულ აქტივის კრებაზე განაცხადა, რესპუბლიკაში ბავშვთა სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საქმე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული სპორტული ინვენტარითა და ტანსაცმლით მომარაგების საქმე.

362 ათასი მოზარდი და ბავშვი, რომლებიც ოფიციალური მონაცემებით ჩაბმულია ფიზკულტურისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში, გაერთიანება „სპორტსაქონელისაგან" სამართლიანად მოითხოვენ ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და საჭირო სპორტულ-ტურისტული ინვენტარით უზრუნველყოფას.

სამწუხაროდ, ეს იმედი მათ ხშირად უწბილდებათ, ვინაიდან არსებული ჩვეულებრივი სახის სპორტული საქონლის მაღაზიები მოზარდებსა და ბავშვებს ვერ აწვდიან ვარჯიშისთვის საჭირო საგნების მნიშვნელოვან ნაწილს. ამის მიზეზი მარტო რესურსების სიმცირე კი არ არის, არამედ ისიც, რომ ბავშვთა სპორტული საქონელი გაფანტულია რესპუბლიკის მთელ სავაჭრო ორგანიზაციებში. ამან დღის წესრიგში დააყენა **საკითხი, რომ გაიხსნას ერთი ცენტრალური სანიმუშო ბავშვთა სპორტული უნივერმაღი, სადაც თავმოყრილი იქნება რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და მომხმარებელი შეძლებს ერთად შეიძინოს ყველაფერი, რაც სურს.** ეჭვგარეშეა, ასეთი სავაჭრო ობიექტის დაარსება თავისთავად საბავშვო სპორტსაქონლის წარმოებაზეც მოახდენს ზეგავლენას, დაეხმარება გაერთიანებას ამოცანების გადაწყვეტაში.

საბითუმო და საცალო სავაჭრო რგოლების ერთ ორგანიზაციად შეერთება რესპუბლიკაში საბავშვო სპორტსაქონლის წარმოების გაფართოების რეალურ საშუალებას იძლევა, თუმცა პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით, რატომღაც, დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

1978 წლის ივლისში ჩატარებულ მზა ტანსაცმლის რესპუბლიკურ გაწერაზე მრეწველობისადმი წაყენებული იქნა რიგი წინადადებები საბავშვო და სპორტული საქონლის დანერგვა-წარმოების შესახებ, რომლებიც საბაზრო კომიტეტმა ყურადღებით განიხილა.

გადაწყდა საჭიდაო ჩოხების, ჩოგბურთის კოსტუმებისა და სხვათა წარმოებაში დანერგვა, მაგრამ დარწმუნებული მაინც არა ვართ, რომ აღნიშნული საქონელი ახლო მომავალში ჩვენი მაღაზიების თაროებს დაამშვენებს და მომხმარებელი მიიღებს მათ, რადგან ფაბრიკები ასეთ პროდუქციას ეკონომიურად არახელსაყრელად თვლიან.

ხშირად ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა ფაბრიკები ჩვენს მოთხოვნაზე გვპასუხობენ, რომ ბავშვთა ასორტიმენტის სპორტული საქონელი უნდა დაამზადონ სპეციალიზებულმა ფაბრიკებმა და კერძოდ, თბილისის სპორტულ-სატრიკოტაჟო ფაბრიკა „დინამომ" და მთავარსპორტნაწარმის ექსპერიმენტალურმა ფაბრიკამ. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი თავს ვალდებულად არ თვლის აწარმოოს ბავშვთა ასორტიმენტის საქონელი იმ მოტივით, თითქოს იგი მოწოდებულია საჭირო ტანსაცმლით მოამარაგოს მხოლოდ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, მაშინ, როცა ამ ფაბრიკის პროდუქციის 90%-ზე მეტი საბაზრო ფონდის საქონელია და განკუთვნილია მოსახლეობაზე ნაღდ ანგარიშზე მისასყიდად.

„დინამოს" ფაბრიკაში მოზრდილთა ქურთუკების ნაცვლად საბავშვო ქურთუკების დამზადების საკითხი სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვის საგნად გადაიქცა. ამ უკანასკნელმა, რატომღაც, წარმოების სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა, იმ მოტივით, რომ საწარმოო გეგმა დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოების მიერ და მისი შეცვლა შეუძლებელია.

ყველა ამ მიზეზის გამო გაერთიანება „სპორტსაქონელმა" ვერ შეარჩია 780 ათასი მანეთის სპორტული ასორტიმენტი, რომელიც 1979 წლისთვის ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების ფაბრიკებიდან მისაღებად იყო დაგეგმილი.

ბავშვთა სპორტული საქონლით ვაჭრობის გაუმჯობესების კომპლექსურად გადაწყვეტა, კერძოდ ბავშვთა სპორტული უნივერმაღის გახსნა, დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობის სპორტსაქონლით უკეთ მომარაგების საქმეს.

ს. ოკონოვი,
რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის" მთავარი საქონელმცოდნე.

წერაყინითა და ჩოგნით ხელში

ალპინისტს მთაში სიარულისას ნიადაგ თანა სდევს ათასგვარი გაჭირვება, ხიფათი. მისთვის არც ხელ-ფეხის მოყინვაა უცხო, არც შიმშილი და კბილების კაწკაწით თეთრად გათენებული ღამეები. საკმარისია პატარა შეცდომა, ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და უმალ სიკვდილის საშიშროება გამოტყვრება.

და მაინც დადიან მთაში!

თითქმის ყველა მთამსვლელს ვეკითხები, თქვენს შვილს თუ გაუშვებთ-მეთქი მთაში.

ოღონდაც, ასეთი შეკითხვა არასოდეს დამისვია ჩვენი ქვეყნის ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის შოთა მირიანაშვილისთვის. აქ ისედაც ყველაფერი დღესავით ნათელია. მან ჯერ თავისი უფროსი ვაჟიშვილი — მირიანი აიყვანა ევროპის უმაღლეს მწვერვალზე — იალბუზზე, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ასვლამ მირიანი ვერ „მოწამლა" მთების სიყვარულით. შემდეგ კი 1975 წელს უმცროსი ვაჟიშვილი გიორგი, როცა 8 წლისა იყო, მწვერვალ ყუროსკენ მიმავალ „ბილიკს" გაუყენა.

მთამსვლელები ამბობენ, თუ კაცმა მთაში შიში დაძლია, მისგან აუცილებლად ალპინისტი გამოვა. და თუ მართლაც მხოლოდ ესაა საკმარისი, მაშინ გიორგი მირიანაშვილს წინ ველარაფერი დაუდგება — სამჯერ შეუტია მწვერვალებს და ორჯერ დიდი შიში ჭამა, მაგრამ მაინც იქით გაურბის თვალი და გული.

ახლა ისევ ყუროზე პატარა გიორგის პირველ ლაშქრობას დავუბრუნდეთ. თბილისის უნივერსიტეტის ალპინიადა ტარდებოდა. ალპინიადას გიორგის მამა ხელმძღვანელობდა.

იმ დღეებში უჩვეულოდ ხვავრიელად მოთოვა ყაზბეგის რაიონში, ყუროს ფერდობებზე კი ისეთი დიდი თოვლი დაედო, წელამდე ეფლობოდნენ.

მამას შვილისთვის აღარ ეცალა და სახელგანთქმულ ალპინისტს, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონსა და პრიზიორს შალვა მარგიანს მიაბარა. ერთ თოკში ჩაბმულნი, საშინელ ქარში მიიწევდნენ მწვერვალისკენ მრავალნაცადი და ახალბედა მთამსვლელი. მწვერვალამდე სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრიღა დარჩათ. გამარჯვება სულ ახლოს იყო. ახლოს იყო ხიფათიც. მოულოდნელად ზვავი მოწყდა. რამდენიმე კაცი შიგ ჩაითრია და ელვის უსწრაფესად უფსკრულისკენ გააქანა. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

უფროსმა მირიანაშვილმა ქვევით დაშვების განკარგულება გასცა. უმცროსმა მირიანაშვილმა კი დაიჟინა, აქამდე ამოვსულვარ და, გინდათ თუ არა, მწვერვალზეც უნდა ავიდეთ. ბოლოს მამამ შვილი იმით დააშოშმინა, რომ უთხრა, ხომ ხედავ, თვით შალვა მარგიანიც მემორჩილება, ეშვება და შენ კისი ტიკი-ტომარა ხარო...

ასე იყო თუ ისე, 8 წლის გიორგის ალპინისტური ნათლობა ფრიად სახიფათო აღმოჩნდა. მომდევნო წელს კი ყუროდან მაინც გადახედა მთელი ყაზბეგის რაიონს.

შარშან კიდევ ერთი იერიში მიიტანა მწვერვალზე. ამჯერად სვანეთში, „ვახუშტიზე". იმ ლაშქრობისას, ახლა უკვე 11 წლის გიორგი მოულოდნელად კლდიდან მოწყდა. თოკში საიმედოდ იყო ჩაბმული და, ამდენად, ეს სრულიადაც არ იყო საშიში, მაგრამ, ბუნებრივია, პატარა გიორგი კარგა გვარიანად შეშინდა. მამას მაგრად ეჭირა თოკი. პატარა ალპინისტი ერთხანს კიდევ იყო შიშისგან დაფეთებული და თვალებდაჭყეტილი. ტირილი აგვიტყდა. აი, სწორედ მაშინ იყო, რომ ვიფიქრე, მორჩა. ამის შემდეგ მწვერვალებისკენ პირს აღარ იზამს-მეთქი. — თქვენც არ მომიკვდეთ! მალე თვითონაც გულიანად იცინა და „ვახუშტიც" დაიპყრო...

პატარა მირიანაშვილმა ორჯერ დაძლია შიში. მუხლიც მაგარი აქვს და გულიც. სიმაღლესაც მშვენივრად იტანს. ეს ყველაფერი მთამსვლელად დადგომის აუცილებელი პირობაა. დიდი მთამსვლელი რომ გახდეს, კიდევ საჭიროა დაოსტატება და, რაღა თქმა უნდა, გამოცდილება. მაგრამ, ჯერ მაინც გაურკვეველია, პატარა გიორგი მთამსვლელი გახდება თუ... ჩოგბურთელი. ამ მეორე სახეობაში, როგორც მისი მწვრთნელი გურამ თოხაძე ამბობს, ერთობ პერსპექტიულია.

ჯერჯერობით კი ვერც ჩოგანს ელევა და ვერც წერაყინს.

წინ კიდევ ბევრი მწვერვალია.

ა. გურასაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველით ფეხბურთს

მართალია, გასული საფეხბურთო წელი ზოგიერთის მხრივ განირჩეოდა ადრინდელისგან. შეიმჩნეოდა წინსვლა, მაგრამ მან გაგვაწბილა ნაკრებისა და საკლუბო გუნდების ევროპულ ტურნირებზე წარუმატებელი გამოსვლებით. ამ გამოსვლებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მეტოქეებს ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით თამაშის ძირითად კომპონენტებში. ამაზე გულახდილი საუბარი გვმართებს. საქმე ის არაა, რომ არა გვყავს სპორტსმენები, რომლებიც პასუხობენ მაღალ მოთხოვნებს. ასეთი ფეხბურთელები მუდამ გვყავდა და ახლაც გვყავს. ჩვენი აზრით ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ ბოლო წლებში საბჭოთა ფეხბურთი არ მიდიოდა საჭირო ტაქტიკური განვითარების გზით, ყველა ჩვენი გუნდის ტაქტიკას მძიმე ტვირთად აწვა „მისი უდიდებულესობა ქულის" დაკარგვის შიში. „ფრე მეტოქის მინდორზე — გამარჯვებაა!" — ამ და სხვა მისთანა „ლოზუნგებს" აწვდიდნენ მწვრთნელები თავიანთ მოთამაშეებს მატჩიდან მატჩამდე, აიძულებდნენ ერთიანად დაევიწყებინათ შემტევი შესაძლებლობანი. და აი გამოვიდა, რომ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი წლების მანძილზე სულ უფრო კარგავდა შემტევ სულისკვეთებას.

საყურადღებოა, რომ ჩვენში არავინ აცხადებს თავს დაცვითი თამაშის მომხრედ. მაგრამ ლიტონი სიტყვების სროლა ტოტალური ფეხბურთის უპირატესობაზე ადვილი საქმეა. საქმით კი მრავალი სპეციალისტი მზადაა შეურიგდეს არსებითად ლატაკი, ხელოსნური ფეხბურთის განვითარებას, სადაც ცენტრალურ თავდამსხმელებსაც კი არა აქვთ ადგილი. შეტევის ეს მთავარი ფიგურა გაქრა ჩვენი გუნდების სათამაშო არსენალიდან. განა შეიძლება გაამართლო ყოვლად უღიმღამო თამაში, სადაც მაყურებელი ვერ ხედავს გატანილ ბურთებს. გაამართლო იგი რაღაც „გასვლითი მოდელებით" ან „საბუღალტრო ანგარიშებით", რომელთა მიხედვითაც გუნდს გათვალისწინებული აქვს გაიმარჯვოს ამა და ამ ქალაქში, ხოლო სხვაგან — ითამაშოს ფრედ?

არგენტინის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატმა ცხადყო, რომ წარმატებას ის აღწევს, ვინც შემტევი ტოტალური ფეხბურთის პოზიციებზე დგას. ყველა წამყვან გუნდს ჰყავდა თავის რიგებში საუკეთესო თავდამსხმელები, გამარჯვებას ეძებდა მეტოქის კართან და არ იყო ჩაკეტილი ყრუ დაცვაში 8-9 კაცის შემადგენლობით. პრაქტიკულად ყოველი მოთამაშე ზუსტად ასრულებდა არა მარტო თავისი ამპლუას ძირითად მოვალეობებს, არამედ მონაწილეობდა ამა თუ იმ ტაქტიკური გეგმის შესასრულებლად საჭირო ყველა ოპერაციაში. ფეხბურთელებს ამჟამად სჭირდებათ უნივერსალური ოსტატობაც და გარკვეული უნივერსალობაც თამაშის გაგებაში.

ჩვენი გუნდები ახლა გაცილებით უფრო მეტს ვარჯიშობენ და უფრო მკაცრი რეჟიმითაც, ვიდრე უწინ. მეცადინეობათა მოცულობის გაზრდა, უდავოდ, ხელს უწყობს სეზონისთვის უკეთ მომზადებას, მაგრამ ამავე დროს მარტოოდენ ამ გზით ვერ გადავჭრით ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ჩვენი ფეხბურთის წინაშეა წამოჭრილი. მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ ბევრი ივარჯიშო, არამედ იმასაც, თუ როგორ ივარჯიშებ. თანაც მოთამაშეთა სპორტული ფორმის ამაღლების საზრუნავმა უკანა პლანზე გადასწია, მაგალითად, ვარჯიში ტაქტიკაში. იქნებ, ამიტომაცაა, რომ განვლილ სეზონში ხშირად ვხედავდით მრავალი ფეხბურთელის სრულ უსუსურობას ბურთის გათამაშებისას სტანდარტულ სიტუაციებში?

რახან საწვრთნელი დროის უდიდესი ნაწილი ჩვენში მიაქვს ფიზიკურ მომზადებას, ნაკლები ყურადღება ეთმობა ფეხბურთელთა საზრიანობის, სათამაშო ეშმაკობის განვითარებას და ყველაფერს, რასაც კი თამაშის გაგება ჰქვია. ეტყობა, ეს იმიტომ ხდება, რომ მწვრთნელებმა ჯერ ვერ დაძლიეს ქულის დაკარგვის შიში. ხომ გაცილებით უფრო იოლია მოამზადო „დაცვიდან" მოქმედი ათი დამამსხვრეველი მოთამაშე, ვიდრე სამი ფორვარდი, რომლებსაც ბურთების გატანა ევალებათ მეტოქეთა კარში. აი, რატომაა საჭირო სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ მთელი ყურადღება მიაპყრას იმას, რომ მივაღწიოთ გადამჭრელ ფსიქოლოგიურ გარდაქმნებს კლუბებში, მწვრთნელთა და მოთამაშეთა შორის, გადავიყვანოთ გუნდები ახალ ტაქტიკურ ლიანდაგზე. ფეხბურთელთა შორის გამომუშავებულმა „სიფრთხილის სტერეოტიპმა" ადგილი უნდა დაუთმოს გამართლებულ რისკს, რომლისოდაც თამაში უღიმღამო და უინტერესო ხდება.

რა თქმა უნდა, ჰარმონიული ფეხბურთი, როცა უნარიანად და მწვავედ უტევენ და საფუძვლიანადაც იცავენ თავს, მოითხოვს დიდ ოსტატობას, ნებისყოფას, ფიზიკურ და მორალურ ძალებს. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული სპორტსმენის თავდადებაზე თამაშისა და საკუთარი გუნდის მიმართ. ვიმედოვნებთ, რომ ფეხბურთელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ახალ სეზონში შეძლებენ გამოავლინონ ეს მნიშვნელოვანი თვისება. სწორედ მათ და არა სხვა ვინმემ უნდა დააბრუნოს საბჭოთა ფეხბურთი მაღალ პოზიციებზე.

ეს იოლი ამოცანა როდია, თანაც მისი გადაწყვეტა არაა დამოკიდებული მარტო მოთამაშეებზე და მწვრთნელებზე. აქამდე ჭიანურდება, მაგალითად, საწვრთნელი მინდვრების მშენებლობა სამხრეთში. მცირდება საფეხბურთო მინდვრების რაოდენობა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ბაქოში, სვერდლოვსკში, კრასნოდარში, ერევანში. სად ითამაშონ ბავშვებმა? ეს საკითხი მწვავედ დგას ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა წინაშეც.

და, ბოლოს, საჭიროა მკაცრი წესრიგი დამყარდეს მწვრთნელთა დანიშვნისა და განთავისუფლების საქმეშიც. ჩვენში მრავალი სპეციალისტია, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ ხელი შეუწყონ სპორტის ამ ყველაზე უფრო პოპულარული სახეობის განვითარებას. საზრუნავი მათ ბევრი აქვთ, მწვრთნელის მუშაობა იოლი როდია, არის შეცდომები, რისთვისაც გუნდების ხელმძღვანელებს სამართლიანად აკრიტიკებენ. მაგრამ განა მოუხმარება მათ ე. წ. „მეცენატთა" არაკომპეტენტური და ზოგჯერ უხეში ჩარევაც თამაშის ტაქტიკური დავალების, მატჩისთვის შემადგენლობის განსაზღვრის საქმეებში? არა! ამაში ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით მწვრთნელთა ცვლის მაგალითზე შუაგულ სეზონში დნეპროპეტროვსკის „დნეპრში", რომელმაც უსახელოდ დატოვა უმაღლესი ლიგა.

ამავე დროს, თუ მწვრთნელი ძველი მეთოდებით მუშაობს, არ აინტერესებს თანამედროვე ფეხბურთის პროგრესული ძვრები, არ ძალუძს სათანადო სიმაღლეზე დააყენოს დისციპლინა თავის გუნდში, დაკარგული აქვს ავტორიტეტი მოთამაშეებში, ცხადია მისი კლუბი წარმატებებს ვერ მიაღწევს. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი მწვრთნელის შეცვლის თაობაზე უნდა გადაწყდეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტთან შეთანხმებით და არა ადგილობრივი ორგანიზაციების თვითნებობით. ასეთია დაკანონებული წესი. მას, რასაკვირველია, უკეთ დავიცავთ, თუ საოლქო და საქალაქო პარტიული კომიტეტები გადაჭრით აღკვეთენ ფეხბურთში უცხო პირთა ჩარევას გუნდების საქმეებში, რითაც ბევრს სურს შეცვალოს მათი ინტერესებზე ჭეშმარიტი მზრუნველობა.

ცნობილია შემთხვევები, როცა უფროსი მწვრთნელი რაღაც „მთხოვნელად" იქცევა ხოლმე, რომელიც სიარულს იწყებს ყველა ინსტანციაში თხოვნით შუა სეზონში დაერთოს ნება ამა თუ იმ ფეხბურთელს გადავიდეს მის კოლექტივში, გადაუდონ თამაში გუნდს ან დამატებითი „წახალისება" მისცენ მოთამაშეებს. ადგილობრივი „მეცენატებიც" მაშინვე წამოჰყოფენ ხოლმე თავს, იწყება რეკვა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში, სხვა ორგანიზაციებში. წამოაყენებენ ხოლმე სხვადასხვა მოთხოვნას, რომლებიც ეწინააღმდეგება არსებულ წესებსა და ნორმებს. რაოდენ ზიანს აყენებენ ფეხბურთს და სპორტსმენთა აღზრდის საქმეს ამგვარი შუამავლები! აქ საჭიროა ფეხბურთის სამმართველოს მტკიცე პოზიცია, რომელსაც ევალება მოთხოვოს სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს დაამყარონ დისციპლინა ფეხბურთის განვითარების საქმეში.

გუნდების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ხელმძღვანელებს არც ერთი დღით არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან მზრუნველობა ფეხბურთის მორალურ-ეთიკურ მხარეზე. ვერ შევურიგდებით იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უხეიროდ ვარჯიშობენ, ვისი უსაქციელობა მინდორზე, „ბინძური თამაში", წამლეჯაობა ჩირქს ცხებს საბჭოთა სპორტის რეპუტაციას. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებრიობას და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კომისიებს. პასუხისმგებლობის დიდი წილი ედება არბიტრებსაც, ვინაიდან მსაჯები არა მარტო წესების დამცველნი და განმმარტებელნი არიან, არამედ აღმზრდელებიც.

გასულ სეზონში უმაღლესი ლიგის ბევრი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს არბიტრებმა. არაობიექტური მსაჯობის შემთხვევების აღმოფხვრის მიზნით, მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ მეტი სიმკაცრით უნდა შეარჩიოს კანდიდატები სამივე ლიგის მატჩების სამსაჯოდ და სრულიადაც არაა საჭირო „გამოსასწორებლად" გაიგზავნონ დაბალ ლიგებში ის მსაჯები, რომლებმაც ლაქა მიაყენეს საკუთარ თავს, ვინაიდან არბიტრებისგან იქაც მოვითხოვთ პატიოსნებას და ობიექტურობას.

ჩვენ აქ შევეხეთ მრავალფეროვანი საფეხბურთო ცხოვრების რამდენიმე მხარეს. თითოეული მორიგი სათამაშო სეზონი თვით თამაშის ახალ ეტაპსაც ნიშნავს. წლევანდელი სეზონისგან მილიონობით სპორტის მოყვარული მოელის, რომ ჩვენი გუნდები გადადგამენ გაბედულ ნაბიჯს ოსტატობის ამაღლების საქმეში, აჩვენებენ აქტიურ შემტევ ტაქტიკას და გამარჯვებისადმი სწრაფვას. წარმატებას ვუსურვებთ ამ გზაზე მწვრთნელებს და ფეხბურთელებს.

გ. კაჩალინი,
ვ. პონედელნიკი,
ნ. სიმონიანი.
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები.

„პრავდა" № 22.

„ნედელიას" ტურნირებზე

დასასრულს უახლოვდება „ნედელიას" ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში მოსკოვსა და ლენინგრადში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ბუდაპეშტის „ვოლანი". გაიმარჯვეს ტორპედოელებმა — 2:1. ცსკა-მ თავისი უპირატესობა ტაშკენტის „ფახთაქორთან" შეხვედრაში 2 „მშრალი" გოლით აღნიშნა.

მოსკოვის მთავარ ფინალში გავიდნენ „სპარტაკი" და ცსკა.

ლენინგრადში კიევის დინამოელებმა მოუგეს როსტოვის არმიელთა გუნდს — 1:0, ხოლო ალმაათის „ქაირათმა" მარცხი იწვნია ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" — 1:4. აქ ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მინსკის „დინამომ" და ვოროშილოვგრადის „ზარიამ".

მოსკოვის დინამოელთა გამარჯვება

მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელები იმყოფებიან ბულგარეთში, სადაც ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ სოფიის ცნობილ კლუბთან — „ლევსკი-სპარტაკთან".

დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა გაზაევმა.

მხოლოდ ორი უცხოელი

ესპანეთი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთი არა მარტო სპორტის წამყვან სანახაობას წარმოადგენს, არამედ საერთო ეროვნული ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტიცაა. კორიდა და ფეხბურთი ამ ქვეყანაში მუდამ დღესასწაულია.

მაგრამ არის პარადოქსიც: ესპანეთი, ნამდვილი ექსტრა-კლასის ფეხბურთელთა სამშობლო, არ თაკილობს გამოჩენილი ვარსკვლავების შესყიდვას სხვა ქვეყნებიდან და დაურიდებლად ეძებს მოთამაშეებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება, ამასთან არ ერიდება ხარჯებს.

ეს პროცესი სხვადასხვა დროს მეტნაკლებად შესამჩნევი იყო. მაგრამ ახლა, ეტყობა, უცხოელებმა პირენეის ნახევარკუნძულზე ისე იძალეს, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული შეიქნა საგანგებო ზომებისთვის მიემართა და გამოეცა კანონი, რომელიც ზღუდავს იმპორტირებულ ფეხბურთელთა რაოდენობას ყოველ ცალკეულ კლუბში. ახალი კანონი ძალაში შევა 1983 წლის 1 იანვრიდან, თითოეულ კლუბს უფლება ექნება თავის რიგებში იყოლიოს უცხოეთიდან მოწვეული მხოლოდ 2 მოთამაშე. როგორც აქაური პრესა წერს, ესპანეთში სამხრეთ ამერიკიდან უამრავი ფეხბურთელი ჩამოდის საშოვარზე, ისინი ადვილად იკაფავენ გზას ადგილობრივ კლუბებში, ესპანელი ჭაბუკები კი ამ დროს მეორეხარისხოვან როლებზე რჩებიან და ეკარგებათ დაწინაურების ყოველგვარი სტიმული.

„ორი უცხოელის" წესს ესპანეთში ახლა ცხოველ კომენტარებს უკეთებენ. ზოგიერთი გაზეთი პირდაპირ სვამს საკითხს: „რაღა ეშველებათ მადრიდის „რეალს" ან „ვალენსიას"? ამ კლუბებს ხომ 3-3 მოთამაშე ჰყავთ უცხოური პასპორტებით?"

მართლაც, „რეალში" წამყვან ძალას წარმოადგენენ დანიელი იენსენი, არგენტინელი ვოლფი და დასავლეთგერმანელი შტილიკე. ხოლო „ვალენსიაში" — არგენტინელები კემპესი და ფელმანი და დასავლეთგერმანელი ბონჰოფი.

სპორტული თებერვალი

წლის მეორე თვე ჩვენს რესპუბლიკაში მდიდარია სპორტული ღონისძიებებით.

1-3. **ბატუტზე ხტომა.** საქართველოს სსრ თასი. თბილისი.

1-5. **სამბო.** 1960-61 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. გურჯაანი.

1-6. **ხელბურთი.** 1961-62 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. თელავი.

1-6. **ხელბურთი.** 1961-62 წლებში დაბადებულ გოგონათა რესპუბლიკური პირველობა. ტყიბული.

2-4. **მძლეოსნობა.** საქართველოს სსრ პირველობა მრავალჭიდში. თბილისი.

3-9. **წყალბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი (I-XIV ადგილები). I წრე, I ტური. თბილისი.

5-10. **მშვილდოსნობა.** რესპუბლიკური პირველობა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. თბილისი.

5-14. **სამთო-სათხილამურო სპორტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატის III ტური გაზეთ „ლელოს" პრიზზე. ბაკურიანი.

6-13. **ბალახის ჰოკეი.** რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის პირველობა მინი-ჰოკეიში. თბილისი.

8-11. **თავისუფალი ჭიდაობა.** 1962-63 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თელავი.

8-11. **ძიუდო.** საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

8-11. **ცურვა.** 1962-63 წლებში დაბადებულთა ზამთრის რესპუბლიკური ჩემპიონატი და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზებისთვის საკავშირო შეჯიბრების მონაწილეთა შერჩევა. თბილისი.

15-18. **ბადმინტონი.** საქართველოს სსრ თასი. სოხუმი.

16-20. **სათხილამურო სპორტი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი და იუნიორთა რესპუბლიკური პირველობა. ბაკურიანი.

20-24. **ძიუდო.** 1962-63 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. გორი.

20 თებერვალი- 2 მარტი. **ჭადრაკი.** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატისთვის შესარჩევი შეჯიბრება. ბათუმი.

20 თებერვალი-2 მარტი. **ჭადრაკი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. რუსთავი.

22-25. **აკრობატიკა.** XXV ახალგაზრდული რესპუბლიკური პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე. თბილისი.

22-25. **ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა.** რესპუბლიკური შეჯიბრება საერთო ფიზმომზადებასა და გრძელ დისტანციებზე ნიჩბოსნობაში. ფოთი.

23-25. **აკადემიური ნიჩბოსნობა.** საქართველოს სსრ თასი. ფოთი.

23-26. **მაგიდის ჩოგბურთი.** 1961-65 წლებში დაბადებული გოგონებისა და ბიჭების რესპუბლიკური პირველობა. ყვარელი.

23-27. **ქართული ჭიდაობა.** 1959-60 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თელავი.

24 თებერვალი-2 მარტი. **წყალბურთი.** 1961-62 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

25-28. **ფიგურული სრიალი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატი. თბილისი.

28 თებერვალი-4 მარტი. **ტანვარჯიში.** XXV ახალგაზრდული რესპუბლიკური პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზებზე.

ჩვენი კონკურსი

სპორტის მოყვარულებს ვთავაზობთ „ლელოს“ კონკურსის მეორე ტურის 10 კითხვას. **პასუხები უნდა გამოგზავნოთ 1 მარტამდე.**

შეგახსენებთ, რომ სწორი პასუხისთვის იწერება 1 ქულა. ვინც ქულათა ყველაზე დიდ რაოდენობას მოაგროვებს, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება და **ჩვენი გაზეთის მთავარი პრიზი — ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ მოთამაშეთა ავტოგრაფებიანი ბურთი გადაეცემა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულნი შესაბამისად დაჯილდოვდებიან სამახსოვრო თასითა და სპორტული ფოტოალბომით.**

II ტური

1. სად გაისმა პირველად სიტყვა „სპარტაკიადა?“.
2. რომელ უცხოელ სპორტსმენს აქვს მინიჭებული სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება?
3. ვინ იყო 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (ქვემძიმე წონა). რა იცით მის შესახებ?
4. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთმა საბჭოთა მძლეოსანმა ათჭიდში სარეკორდო 7.780 ქულა მოაგროვა. ვინ არის ეს ათჭიდელი, სად და როდის დაამყარა მან ეს მიღწევა. იქნებ მისი შედეგებიც იცოდეთ ცალ-ცალკე, ათივე სახეობაში?
5. რა იცით XVIII საუკუნის სახელგანთქმულ „თურქი მოჭადრაკის“ შესახებ, რამდენი პარტია აქვს მას ნათამაშევი, რამდენი წაგებული?
6. ვინ გაიმარჯვა III საერთაშორისო ახალგაზრდულ მეგობრულ სპორტულ თამაშებში წყალში მხტომელ ვაჟთა შორის კოშკურაზე?
7. როდის ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში პირველად ოფიციალური შეჯიბრება მშვილდოსნობაში?
8. სპორტული ლიტერატურის მოყვარულთ ალბათ გაუგონიათ ფეხბურთის გუნდი „გიდრაერი“. რა იცით მის შესახებ?
9. დაასახელეთ საბჭოთა სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიადაზე პირველთანრიგოსნად ჩავიდა, იქიდან კი სპორტის დამსახურებული ოსტატის ტიტულით დაბრუნდა.
10. ვინ არის ამ ფოტოსურათზე გამოსახული სპორტსმენი ქალი?



გასული წლის ლაურეატები

ლენინგრადელი მოსწავლე ი. ბოგდანოვა ჯერ 14 წლისაც არ არის, მაგრამ მზარდმა მოცურავემ უკვე საერთაშორისო აღიარება ჰპოვა — ზედიზედ მოიხვეჭა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის სახელები ბრასით ცურვაში. უკანასკნელ ასპარეზობაზე, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიმართა, 100 მეტრზე ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. იგი ამ წარმატებებისთვის სამართლიანად დაასახელეს შარშანდელი სეზონის საბჭოთა კავშირის „10 საუკეთესო სპორტსმენთა“ შორის.

სურათზე: ი. ბოგდანოვა ასპარეზობის დროს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

კუბელ ძიუდოისტთა მარშრუტები

ჰავანა. თავისუფლების კუნძულის ძიუდოისტები მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში 2-5 თებერვალს იასპარეზებენ „ულან-ბატორის თასის“ გათამაშებაში. შემდეგ კუბელ სპორტსმენთა გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას მონრეალის ოლიმპიური ჩემპიონი ე. როდრიგესი, ჩამოვა თბილისში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ა. კიკნაძის მემორიალში. შემდეგ ისინი ესტუმრებიან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც ადგილობრივ ათლეტებთან ერთობლივ ვარჯიშს გაივლიან.

მოსწავლე სპორტსმენები

ბერლინი. გდრ-ის თითქმის 6000 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 2,5 მილიონი მოსწავლე კვირაში 2-2 საათს მეცადინეობს ფიზკულტურაში. III-V კლასების პროგრამაში ფიზკულტურას კვირაში სამი საათი ეთმობა. ამას გარდა, რესპუბლიკის 1,7 მილიონი მოსწავლე სკოლებთან და დაწესებულებებთან არსებულ სექციებში ვარჯიშობს. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ საშუალო სკოლადამთავრებულთა 97 პროცენტმა იცის ცურვა. 400 ათასამდე მოსწავლე საერთო ფიზმომზადების სექციაში ვარჯიშობს. დანარჩენები გატაცებული არიან მძლეოსნობით, სპორტული ტანვარჯიშით, სპორტის ზამთრისა და სათამაშო სახეობებით.

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის პირველი ჩოგნები

პრაღა. 20 ქვეყნის 100-ზე მეტი მაგიდის ჩოგბურთელი სამი დღის განმავლობაში ძალას სცდიდა ქალაქ უსტინა-ლაბეში გამართულ ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა, აგრეთვე, უნგრელმა ტ. კლამპარმა და იუგოსლავიის წარმომადგენელმა ქალმა ი. პერკუჩიჩმა. წყვილთა თანრიგში უძლიერესნი იყვნენ ფრანგი სპორტსმენები სეკრეტენი და ბიროშო და უნგრელი ქალიშვილები საბო და ურბო. შერეულ წყვილებში პირველობდნენ კალინიჩი და პერკუჩიჩი.

კვლავ „ლევსკი-სპარტაკი“

სოფია. ბულგარეთის ჩემპიონის წოდება ზედიზედ მესამედ მოიპოვა დედაქალაქის ჰოკეისტთა გუნდმა „ლევსკი-სპარტაკმა“. მან ერთი ქულით გაუსწრო თავის ტრადიციულ მეტოქეს ცსკა-ს კლუბ „სეპტემვრიისკო ზნამეს“. ჩემპიონატი 5 წრედ ჩატარდა. პირველი და მეორე პრიზიორის გარდა, „ოქროსთვის“ იბრძოდა მესამე პრიზიორი „სლავია“.

იზრდება შტანგის პოპულარობა

ბუდაპეშტი. უნგრეთის ძალოსნობის ფედერაციის სხდომაზე, მისმა გენერალურმა მდივანმა ტამაშ აიანმა განაცხადა, რომ ქვეყნის 171 კლუბში 3500-მდე სპორტსმენი ვარჯიშობს. უნგრეთის ნაკრებმა ბრწყინვალედ იასპარეზა შარშან ევროპის ჩემპიონატზე გავირჟოვში (ჩეხოსლოვაკია). 1977 წლის იანვრიდან ქვეყნის პირველი გუნდი აქტიურად ემზადება მოსკოვის ოლიმპიადისთვის. ამ სამზადისის მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება წლეულს უნგრეთში იუნიორთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების (ივნისი) ჩატარება, „დუნაის თასის“ გათამაშება (მარტი) და ტურნირი „პანონიის თასზე“ (ივლისი). (საკდესი).

სურათზე: ბულგარეთის გზებზე 28-ე ველოტურში გამარჯვებული ნ. სტაიკოვი.

მსოფლიოს თასებზე

სწრაფდაშვების ტრასაზე გარმინ-პარტენკირხენში (გფრ) საუკეთესო ათეულში ნახევარნი ავსტრიელები არიან. გამარჯვებულმა, 20 წლის ავსტრიელმა ა. ვირნსბერგერმა (1.57,44) 0,38 წამით აჯობა თანამემამულე უ. შპისს. კარგად გამოვიდა საბჭოთა მოთხილამურე ვ. მაკეევიც (1.58,64), რომელიც მე-11 იყო.

მეორე დღეს სპეციალურ სლალომში ავსტრიელებმა დათმეს პოზიციები. პირველი იყო შვეიცარიელი პ. ლიუშერი (1.26,11), მეორე — ამერიკელი ფ. მარე (1.26,16). ლიუშერი მსოფლიოს თასის გათამაშების ლიდერი გახდა — 173 ქულა. მეორე ადგილზეა სახელგანთქმული შვეციელი მოთხილამურე ი. სტენმარკი (135 ქულა), რომელიც როგორც წესი, არ გამოდის სწრაფდაშვების ტრასაზე. მესამე შედეგი აქვს ა. ვენცელს (ლიხტენშტეინი) — 123.

ქალთა შორის მსოფლიოს თასის გათამაშებას ლიდერობს ავსტრიელი ა. მოზერ-პრიოლი — 196 ქულა. მეორე შედეგი აქვს ხ. ვენცელს (ლიხტენშტეინი) — 133, მესამე — ს. ნადიგს (შვეიცარია) — 119.

სამი ქულით

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ტალინში გაიმართა გამოტოვებული შეხვედრა ადგილობრივ „კალევსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. გაიმარჯვეს ტალინელებმა — 103:100.

«სპორტლოტო»

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მეოთხე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო“ 6 49-დან:

პირველი: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის (33 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 2147 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 61 ბარათი), — 62, ოთხისთვის (1869 ბარათი) — 37, სამისთვის (32839 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (20 ბარათი), მოგება 1401 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 17 ბარათი) — 60, ოთხისთვის (935 ბარათი) — 35, სამისთვის (16720 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო“ 5 36-დან:

პირველი: 5 ციფრის (4 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (987 ბარათი) — 123, სამისთვის (31703 ბარათი) — 5.

მეორე: 5 ციფრის (10 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 6416 მანეთია, ოთხისთვის (1059 ბარათი) — 108, სამისთვის (28252 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 7 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით.

უძლიერესთა მონაწილეობით

უკრაინის ღია პირველობამ ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერეს ჩოგბურთელს მოუყარა თავი. რამდენიმე შეხვედრა სენსაციით დამთავრდა: მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა წააგო დონეცკელ ა. კოსტენკოსთან, კიეველმა გ. ბაკშეევამ — მოსკოველ ო. ზაიცევასთან, დონეცკელმა მ. კროშინამ — კიეველ ე. ემეცთან, ბაქოელმა გ. ბირიუკოვამ — რიგელ ზ. ივანოვასთან.

ტურნირის მთავარი სენსაცია მაინც 16 წლის მოსკოველი მოსწავლის ოლია ზაიცევას გასვლა იყო ფინალში. აქ მან მხოლოდ გადამწყვეტ პარტიაში წააგო 1977 წლის ჩემპიონ, მინსკელ ნ. ბოროდინასთან. მესამე ადგილზეა რიგელი ი. შევჩენკო.

წყვილთა შორის გაიმარჯვეს: ზ. ივანოვა — ი. შევჩენკომ, ა. ვოლკოვ — კ. პუგაევმა და ე. ემეც — ი. ფილეევმა.

კომპოზიციის ახალი ალბომი

გამოვიდა ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიტორთა მუდმივი კომისიის ალბომის მე-9 ნომერი, რომელშიც მოთავსებულია 1971-1973 წლებში მსოფლიოში გამოქვეყნებული საუკეთესო ამოცანები და ეტიუდები.

ალბომი კომპოზიტორთა ტურნირის მოვალეობასაც ასრულებს. საქმე ისაა, რომ აქ დასტამბულ თითოეულ ნაწარმოებში ავტორს ეწერება ქულები (ეტიუდში — 1,66, ამოცანაში — 1), რომელთა მიხედვით შეუძლია მოიპოვოს საერთაშორისო დიდოსტატის (ნორმატივი — 70 ქულა) და საერთაშორისო ოსტატის (25) წოდებები.

ალბომში გ. ნადარეიშვილის, ი. კრიხელის, ვ. კალანდაძის, ვ. ნეიძის, დ. გურგენიძის, შ. სუხიტაშვილის, ჯ. მახათაძის, ი. შოსტისა და რ. თავარიანის 30 ამოცანა და ეტიუდია დასტამბული.

ალბომში დაბეჭდილი ნაწარმოებების მიმატებით სსრ კავშირის ჩემპიონს ეტიუდებში, საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილს კომპოზიციის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მისაღებად 62,5 ქულა დაუგროვდა, გორელ საერთაშორისო ოსტატ ი. კრიხელს — 55,96. ახალგაზრდა ეტიუდისტები ვ. ნეიძე (19,21), ვ. კალანდაძე (13,38) და დ. გურგენიძე (12,52) კიდევ უფრო დაწინაურდნენ საერთაშორისო ოსტატის ნორმატივის შესრულებაში.

ფიდე-ს ალბომში ამოცანისა თუ ეტიუდის გამოქვეყნება ყოველი შემოქმედისთვის საქვეყნოდ აღიარებაა, ამიტომ გამოცემის ახალ ნომერში საქართველოს კომპოზიტორთა ასე უხვად წარმოდგენა ბევრისმეტყველი ფაქტია.

რ. თავარიანი.

საჭადრაკო კომპოზიტორი.

მათი „სამოყვარულო“ სპორტი

სხვისი სახელით

„მე გამოვდიოდი ე. პოტერის, ნ. ტაილერის, ჯ. ბატსის და სხვათა სახელით, რომელთაც ვერ ვიხსენებ. მათი აზრით ეს ასე იყო საჭირო, არ ვიცი რატომ. არასდროს ჩამიბარებია მისაღები გამოცდები. ვილაცა აბარებდა ჩემს მაგივრად“. ეს განაცხადა (იუპ-ის სააგენტოს ლოსანჯელესელი კორესპონდენტის ცნობით) კალიფორნიის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის მოთამაშემ თომას მურმა. სულ ამ გუნდში, — თქვა მან, — 7 სხვადასხვა გვარით ვითამაშე.

აი, როგორია აშშ-ის „სამოყვარულო“ სპორტი. უნივერსიტეტში სპეციალურად ქირაობენ ხალხს, რომლებიც მხოლოდ სპორტში ივარჯიშებენ. მათ სტიპენდიებს სპორტისთვის უხდიან და არა სწავლისთვის, ცნობილია, რომ ზოგიერთი ასეთი „სტუდენტი“ უნივერსიტეტში 3-5 წლის სწავლის შემდეგ პრაქტიკულად უცოდინარია, — აღნიშნავს იუპ-ის სააგენტო. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 ● საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06944